ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4526120

ნომერი: AR1681944

თარიღი : 17.05.2019

გაცემის თარიღი : 05.06.2019

გაცნობის თარიღი : 05.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი , კორპუსი 48 , და ბეწზინგასამართ სადგურ ,,ევროილის" შორის, (ნაკვეთი 26/041);

დამკვეთი-განმცხადებელი
- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ორგანიზაცია:
- იქს ვაი ზეტ.ჯი კოდი: 404537051

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა, კორ[უსი 48, და ბენზინგასამართ სადგურ „ევროილის“ შორის, (ნაკვეთი 26/041), შპს „ბლეკონის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (N 01.17.11.026.041), I კლასის ღობის მშენებლობას და ჭიშკრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. ამავე დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ - N 882017680999 02/08/2017წ. საკადასტრო კოდი N 01.17.11.026.041; ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა, კორ[უსი 48, და ბენზინგასამართ სადგურ „ევროილის“ შორის, (ნაკვეთი 26/041), შპს „ბლეკონის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (N 01.17.11.026.041), I კლასის ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ:

-საპროექტო ღობე უნდა განთავსდეს შპს „ბლეკონის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის N 01.17.11.026.041 საკადასტრო საზღვრებში.

-დაცულ იქნას ტერიტორიაზე გამავალი ხაზოვანი ნაგებობების მიმართ შესაბამისი ნორმები.

-სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.